დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 25 დეკემბერი**

დისციპლინური საქმე №213/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 4 დეკემბრის №213 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 5 დეკემბრის №684/213-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ მიიღო უკანონო განჩინებები, კერძოდ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობები გადაწყვეტილებასა და სააღსრულებო ფურცელში უსწორობის გასწორებისა და განმარტების შესახებ.

ასევე, მოსამართლე იყო მიკერძოებული მეორე მხარის, -- -- მიმართ, რაც გამოიხატებოდა 2023 წლის 13 ნოემბერს გამართულ სხდომაზე.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 1 თებერვალს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, დავალიანების -- აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

2019 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით 2019 წლის 19 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2021 წლის 18 იანვარს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების განმარტება და გადაწყვეტილებასა და სააღსრულებო ფურცელში დაშვებული შეცდომების გასწორება.

-- საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 იანვრის განჩინებით -- -- 2021 წლის 18 იანვრის განცხადება გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორებისა და გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის 10 თებერვალს -- -- უსწორობის გასწორების შესახებ შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში, თუმცა -- საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 12 მარტის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის 12 თებერვალს -- -- სასამართლოს მიმართა გადაწყვეტილებაში არსებული უსწორობის გასწორების მოთხოვნით, თუმცა 2021 წლის 9 მარტის განჩინებით შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

2023 წლის 03 აპრილს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით კვლავ მომართა -- -- გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობების გასწორების და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, თუმცა 2023 წლის 5 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

2021 წლის 18 თებერვალს -- -- ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება წარუდგინა მოსამართლეს. 2021 წლის 23 თებერვლის განჩინებით -- -- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ივნისის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 თებერვლის განჩინება და საქმე განცხადების დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2023 წლის 7 აგვისტოს განჩინებით -- -- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, დასაშვებად იქნა ცნობილი. შეჩერდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 თებერვალს სამოქალაქო საქმეზე №-- მიღებული გადაწყვეტილების და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლით დაწყებული სააღსრულებო წარმოება, -- -- ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის დასრულებამდე. ზეპირი განხილვა დაინიშნა 2023 წლის 13 ნოემბერს.

2023 წლის 13 ნოემბრის განჩინებით, -- -- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა. განახლდა ამ საქმეზე -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 07 აგვისტოს განჩინებით შეჩერებული სააღსრულებო წარმოება.

აღნიშნული განჩინება გადაგზავნილია მხარეებთან.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75[10] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მეირ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დისციპლინური სამართალწარმოება, ვერ იქნება განხილული როგორც ზემდგომი ინსტანცია და ვერ მოხდება მსჯელობა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. დისციპლინური წარმოების ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური გადაცდომების შესახებ არსებული სავარაუდო ფაქტების შეფასება და ის ვერ შეცვლის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიშის შესაბამისად (CommDH(2012)10, 23.02.2012) „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“.[1]

დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები“. ამავე კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე“.

მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება განმარტოს იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების აღსრულებას და მისი განმარტება უნდა მოხდეს მისი შინაარსის შეუცვლელად. მოსამართლე -- --, ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული განჩინებების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მათ კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

[1] ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. -- -- 2021 წლის 27 იანვრის №213 საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება, განჩინებების კანონიერების ნაწილში

2. -- -- 2021 წლის 27 იანვრის №213 საჩივარზე გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება, მოსამართლე -- -- მიმართ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი